საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი, („კოი“), დაარსდა 2011, როგორც შპს ,,კონსტანტინე მადიჩის სახ. მამოლოგიის ცენტრი“. დღევანდელი სტატუსი 2015 მიენიჭა (დამფუძნ. – გ. ნემსაძე, კლინ. დირექტორი – ლ. კუჭავა).

კლინიკაში ტარდება მრავალი სხვადასხვა სახის ქირურგ. ოპერაცია, მ. შ. მამოლოგიური, უროლოგიური, თავ-კისრის, გულმკერდის, მუცლის ღრუს, რბილი ქსოვილების, ბარიატრიული, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, აღდგენით-რეკონსტრუქციული ოპერაციები და სხვ. პრიორიტეტი – ზოგადი და ონკოქირურგია (ქიმიო- და ჰორმონოთერაპიით). ოპერაციები კეთდება როგორც ღია წესით, ისე მცირე ინვაზიით – ლაპაროსკოპიით.

კლინიკაში არის ენდოსკოპიის, ექოსკოპიის, რენტგენოსკოპიის, კარდიოექოსოპიის, მამოგრაფიის, რენტგენოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიული და პათომორფოლოგიური განყ-ბები. ქიმიოთერაპიის დეპარტამენტი ემსახურება პრე- და პოსტოპერაციულ ავადმყოფებს. მედიკამენტოზური მკურნალობა მოიცავს ქიმიოთერაპიულ, სამიზნე თერაპიულ, იმუნოთერაპიულ და ჰორმონოთერაპიულ მიმართულებას. დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში. 2017 ფუნქციონირება დაიწყო საქართვ. ერთ-ერთმა უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილმა და ავტომატიზებულმა დეპარტამენტმა, სადაც მიმდინარეობს ციტოლოგიური, ზოგადი, პათომორფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური კვლევები. პაციენტებს მიეწოდებათ ფსიქოლოგიური თანადგომის სერვისი.